MES 8 20 00470844

15/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.06.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: პაატა ბრეკაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწ რე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი - სხდომის მდივანი;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
5	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვაჟა ვარდიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I- II
2	ნინო ქათამაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I- II
3	ეკა დარბაიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I

4	ნინო წიქვაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სპეციალისტი	I- II
5	ირაკლი ჯავახიშვილი	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
7	ივანე ჯაგოდნიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
8	ეკატერინე შაკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღანელი	II
9	ალექსანდრე სიჭინავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ხელმძღვანელი	II
10	ტარიელ კიკვაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III
11	დავით იაკობიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III
12	ირინე მამალაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III
13	დემნა კვარაცხელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
14	ელენე მენაბდე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
15	დალი სეხნიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნიკა ჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გია თოდუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მანანა ლობაჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

8	მურმან კვარაცხელია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ეკატერინე მიქელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნიკოლოზ ბაგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს პაატა ბრეკაშვილს.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1.პირველი საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგი ატმოსფეროთი და ფორმატით წარიმართა პროცესი, ყურადღება გაამახვილა პროგრამის პოზიტიურ მხარეზე და აღნიშნა, რომ ძალიან კარგია ამ პროგრამას, რომ ნერგავენ. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის არსებობა კი კარგი საფუძველი იყო ამ პროგრამის შექმნისთვის. პროგრამის ხელმძღვანელთან

მიმართებით აღნიშნა, რომ მისი დამსაზურებაა საკმაოდ კარგი ახალგაზრდების გუნდის მოზიდვა.
აღნიშნა, რომ პროგრამა მე-2 სტანდარტის გარდა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი კი მეტწილად შესაბამისია, რეკომემენდაციებიც ძირითადად ამ სტანდარტს უკავშირდება და კარგია ის, რომ დაწესებულებისგან არის მზაობა რიგი რეკომენდაციების გათვალისწინების.
ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ცალკე კურსის სახით იყოს შემოთავაზებული აკადემიური წერა, ვინაიდან შემდგომ საფეხურზე სწავლის პირობებში, აღნიშნული კურსის გავლა, ძირითადად, სავალდებულო მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი.
2. პოლიტიკის თეორიის კურსმა, რეკომენდირებულია, რომ მოიცვას ასევე თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ნაწილიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგებთან თავსებადობა ნაკლებად იქნება მიღწეული.
3. რეკომენდირებულია სრულად თავიდან გაიწეროს საჯარო მმართველობის საფუძვლების კურსი, რათა კურსის სტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში და იმ სახით წარიმართოს სწავლება, რაც ანალოგიური სახელწოდების მატარებელი კურსების შემთხვევაშია შეთავაზებული. ამჟამად წარმოდგენილი სილაბუსის თემატიკა და შესაბამისი ლიტერატურა ნაკლებად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სტანდარტებთან და სხვა კურსის თემატიკაში გადადის.
4. რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას.
5. რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, რომელიც ამ სტანდარტიზებული მოდელის მიღმა კონკრეტულ სპეციფიკურობასა და დეტალიზაციას ითვალისწინებს, სასურველია, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სათანადოდ იყოს მიწოდებული.
6. რეკომენდირებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მფლობელთა მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ამჟამად, პროგრამასთან ასოცირებული 28 პერსონალიდან 13 დოქტორის ხარისხის მფლობელია, თუმცა, მათ შორის უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების 3 დოქტორია, ხოლო დანარჩენი აკადემიური და მოწვეული პერსონალი 10 დოქტორატითა და 5 მაგისტრის ხარისხის მფლობელებით შემოიფარგლება. 10 დოქტორანტიდან უმრავლესობა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტია. თუმცა, აუცილებელია, რომ მათი მხარდაჭერა მოხდეს, რათა სადოქტოროს დისერტაციის დასრულება მათ მალევე შეძლონ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან ისაუბრა რეკომენდაციებზე. აღნიშნა, რომ ეთანხმებიან მე-2 რეკომენდაციას, იზიარებენ და თეორიული ცოდნის მიწოდების მიზნით გადაწყვიტეს დაამატონ თანამედროვე თეორეტიკოსები, როგორებიც არიან, კარლ მაქსი, მაქს ვებერი, მიშელ ფუკო და ა.შ. რაც კიდევ უფრო სრულყოფილს და საინტერესოს გახდის პროგრამას.
ასევე მე-3 რეკომენდაციას იზიარებენ, შესაბამისად გადაწყიტეს, რომ განაახლონ აღნიშნული კურსის სილაბუსი.

რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, პირველ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებენ. რადგანაც აქვთ აკადემიური წერის მსგავსი კურსი, პრეზენტაციის, კომუნიკაციისა და დისკუსიის ტექნიკა. აღნიშნული კურსი არის ორიენტირებული აკადემიური წერითი უნარების გამომუშავებაზე, სათანადო ყურადღება ეთმობა ტექსტის სტრუქტურას, დასკვნის მომზადებას, სატიტულო გვერდის გაფორმებას, რელევანტური წყაროების მითითებას. ასევე გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების წესს.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დასვა ლიტერატურის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ძალიან საინტერესოა ქალბატონი გურანდას მოსაზრება. ყველა უნივერტეტში ეთმობა თემა პოლიტიკურ იდოლოგიებს, ჩვეულებრივ ხდება ამ ფორმატით ინფორმაციის მიწოდება და სწავლა. რაც შეეხება მსოფლიო პოლიტიკას, ეს მიმართულება ძალიან დინამიური დარგია და განიცდის ცვლილებებს. როცა ლექტორი ატარებს ლექციას მუდმივად ცდილობენ, რომ უახლეს ინფორმაციაზე იყოს დაფუძნებული და მიაწოდონ წყაროები სტუდენტებს. გენდერი, კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა უახლესი არ არსებობს. აქაც ანალოგირური პოზიცია, როცა ლექტორი შედის ის საუბრობს მიმდინარე ცვლილებებზე.

დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ ლიტერატურის გამრავალფეროვნებასთან მიმართებით მისაღებია ქალბატონი გურანდას რჩევა. ასეევე განმარტა, რომ მიმდინარეობს თარგმანებზე მუშაობა. მსოფლიო ცივილიზაციები, საქართველო და მსოფლიო ცივილიზაცია, პოლიტიკის მიმართულები წარმოადგენს საუნივერტეტო საგანს და სწავლის შედგებიც განსხვავებულია და უფრო ისტორიის კუთხითაა წაყვანილი. ასევე დაამატა, რომ ლიტერატურის განახლების ყოველთვის მომხრეა და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ყოველთვის მიესალმება მსგავს განვითარებას.

ექსპერტმა ნიკა ჩიტაძემ მიუთითა, რომ პოლოტიკის მეცნიერების კუთხით მისი წიგნიც გამოსულია და შეუძლია ელექტრონული ვერსია მოაწოდოს დაწესებულებას სადაც ყველა აქტუალური საკითხია აღწერილი.

დიმიტრი გეგენავამ დიდი მადლობა გადაუხადა და განმარტა, რომ აუცილებლად შესთავაზებენ ლექტორებს და საბოლოოდ მათ უნდა აარჩიონ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ ექსპერტებს ეთანხება სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში. ასევე დაამატა, რომ აკადემიურ წერაზე მართალია მოსმენილია დაწესებულების პოზიცია, მაგრამ მისთვის მისაღებია ამ რეკომენდაციის არსებობა. მას ასევე ჰქონდა ექსპერტებთან კითხვა საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხი რჩევაში რატომ არის და არა რეკომენდაციაში.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ვერ დაეთანხმება მინისტრის ბრძანებასთან დაკავშირებით მსჯელობას, რადგან ეს არის პრინციპული მიდგომა, დათქმით მითითებას იყენებენ და სწავლების მეთოდი ბრძანებაში დეტალურადა აღწერილი და განმარტებული, რა აზრი აქვას სილაბუსში ამის განმარტებს თუ ნორმატიულ დონეზეა მოწესრიგებული.

ნიკოლოზ კიკნაძემ დააზუსტა, რომ არ გულისხმობს ამ შემთხვევას, მისი მოსაზრება ეხება იმას, რომ მინისტრის ბრძანებიდან მეთოდების ამოღება და ყველა სილაბუსში ერთნაირი მიდგომით ჩადება არის არასწორი.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ არ არის ყველა სილაბუსში ერთიდაიგივე მიდგომა, ზოგან ლექციაა, სემინარია, პრაქტიკული მუშაობაა. სულ სხვადასხვა მეთოდებია მითითებული სილაბუსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ნიკოლოზ კიკნაძის კითხვას საგანთან მიმართებით რჩევებში განსაზღვრას და არა რეკომენდაციებში, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული საგანი საქართველოს უნივერსიტეტებში და ასევე დასავლურ უნივერტეტებში ყველგან არ არის სავალდებულო საგნად განსაზღვრული. შესაბამისად, გადაწყვიტეს, რომ ჩაესვათ არასავალდებულო საგნად, თუმცა ამაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს გაეთვალისწინებინათ ექპსრტთა რჩევა და ჩაესვათ სავალდებულო საგნებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკმაოდ მკაცრები არ იყვნენ და რჩევებში გაიტანეს. თვითონ ადამიანური რესურსები ვერ დაინახეს საკმარისად და რჩევების ნაწილში მისი გაუმჯობესება ურჩიეს და მერე შეიძლება სავალდებულოდ ჩასმაც. იზიარებს იმ აზრს, რომ სავალდებულო უნდა იყოს აუცილებლად.
დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ზოგადად როგორც საბჭოს წევრი ეწინააღმდეგება ამ მოტივით საკითხის რჩევაში გადატანას. ადმიანურ რესურს რაც შეეხება ის ყოველთვის იმის მიხედვითაა შევსებული რასაც პროგრამა მოითხოვს და არწმუნებს, რომ არამარტო ქართული, უცხოური რესურსებიც აქვთ ლექტორების კუთხით. სამაგისტრო პროგრამაც აქვთ და თუ საჭიროება იქნება და გახდება სავალდებულო ადამიანიური რესურსის პრობლემა არ არის. რაშიც ვერ მოიძებნება საქართველოში სპეციალისტი იმ მიზეზით, რომ დაკავებულია, ან სხვა მიზეზი, ექსკლუზიური კადრების კუთით მათი პარტნიორი პროფესორები უზრუნველყოფენ რესურსის არსებობას. ამასთან, ძალიან ბევრი საგანი ინგლისურად უნდათ შესთავაზონ სტუდენტებს და სამომავლოდ ამის რესურსიც დიდ აქვთ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ იგულისხმა ის რესურსებით რაც წარმოდგენილი იყო. აღნიშნული დისკუსიას ექვემდებარება რამდენად ძირითადი უნდა იყოს ეს საგანი, რესურსი რადგან არ ჩანდა წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ამიტომ რეკომენდაციების ნაწილში არ გადავიდა. თუ მოიძეიებენ დამატებით რესურსს ეს იქნება იდეალური.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ კითხვა ჰქონდა, როგორც ექსპერტებთან, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან. პირველი სტანდარტის მეორე ქვესტანდარტში ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის კუთხით ფიქსირდება პრობლემები, კონკრეტულად სწავლის შედეგები როგორც კურსების, ისე პროგრამის სწავლის შედეგების დონეზე საჭიროებს გადახედვას, ვინაიდან ავტონომიურობისა და პასუხიმგებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების კონტროლის შესაძლებლობა ნაკლებად სავარაუდოა. მითუმეტესს თუ გავითავალისწინებთ იმას, რომ პრაქტიკის კომპონენტიც არჩევითია. თუმცა ექსპერტთა მიერ 1.2 ქვესტანდარტი შეფასებულია როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და ამის შესახებ რჩევა აქვთ მიცემული. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის კარგი, აქვს მიზანი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება, როგორ ფიქრობენ უნდა იყოს თუ არა აღნიშნული საკითხი მოყვანილი შესაბამისობაში. ასევე, პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, პროგრამაში სწავლების ორგანიზების თავისებურებებში მითითებულია, რომ 60 კრედიტი სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან. ხომ არ უნდა დაკონკრეტდეს კრედიტების მინიმალური რაოდენობა, რომელიც შეუძლია აირჩიოს სტუდენტმა სხვა სპეციალობიდან.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა არის ლექტორის პრეროგატივა და მათი პოზიცია. მომავალში როცა უშუალოდ ამუშავდება პროგრამა ურუნველყოფენ რამდენიმე მეთოდის გამოყენებით. რაც შეეხება შეფასების სისტემას 240 კრედიტიანია პროგრამა, შესაბამისად აქედან ძირითად საუნივესრსიტეტო 60 კრედიტი შეუძლია დააგროვოს საუნივერსიტეტო საგნებიდან. სტუდენტს უნდა ჰქოდეს იმის საშუალება და უფლება, რომ აირჩიოს სასურველი და საინტერსო საგნები არ იყოს ვიწრო კომფორტიზებული, თუ უნდათ აქტიური სამოქალაქო პასუხისმგებლოის საზოგადოება. უნივერსიტეტს აქვს საინტერსო და მრავალფეროვანი საგნები.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშივლმა დააზუსტა შეკითხვა, ხომ არ ღირს დაკონკრეტდეს მინიმუმ რამდენი კრედიტის აღება შეუძლიათ სტუდენტებს, მაქსიმუმი უკვე განსაზღვრულია 60 კრედიტი. ასევე, მისი აზრით, 1.2 ქვესტანდარტი არ უნდა იყოს შეფასებული როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან და მე-5 რჩევა უნდა იყოს რეკომენდაცია. საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ გადასახედია კურიკულუმის რუკაც.
დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ პასუხისმგებლობის ნაწილში შეიძლება გადასახედი იყოს, ეთანხმება მითუმეთეს იმის გათვლისწინებით, რომ კონცეპტუალურად უნდა გადაიხედოს და პრაქტიკაში გაკეთედეს ეს სამუშაო პროცესია. ასევე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია, რომ ის

ცოდნა რაც ახლა აქვთ პასუხისმგებლობაზე და ავტონომიურობაზე 7 თვის წინ არ იყო, ეს ეტაპობრივად დაიხვეწა და დაიწყო დატრენინგდება.
თამარ ტუფინაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ თუ პრაქტიკის კომპონენტი იქნება სავალდებულო, შესაძლებელია შეფასდეს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ჯერ არ აქვთ პრაქტიკა იმიტომ, რომ უნდათ ნამდვილად მოქმედი იყოს. პირადად მიაჩნია, რომ ყველა საბაკალარო საფეხურზე პრაქტიკა კარგია ან აღნიშნული პრაქტიკული საგნებით უნდა დაიფაროს. განვითარების პერპექტივაში პრაქტიკა აუცილებლად იქნება დამატებული.
ექსპერტთა თავმჯდომარემ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიზეზი რატომ არის რჩევებში და არა რეკოენდაციებში ისაა, რომ პროგრამის შემოტანის პირობებში ვალდებულება არ ჰქონდათ შედგების ჩაშლა გაეკეთებინათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდირებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ცალკე კურსის სახით იყოს შემოთავაზებული აკადემიური წერა, ვინაიდან შემდგომ საფეხურზე სწავლის პირობებში, აღნიშნული კურსის გავლა, ძირითადად, სავალდებულო მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი.
ბ) პოლიტიკის თეორიის კურსმა, რეკომენდირებულია, რომ მოიცვას ასევე თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ნაწილიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგებთან თავსებადობა ნაკლებად იქნება მიღწეული.
გ) რეკომენდირებულია სრულად თავიდან გაიწეროს საჯარო მმართველობის საფუძვლების კურსი, რათა კურსის სტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში და იმ სახით წარიმართოს სწავლება, რაც ანალოგიური სახელწოდების მატარებელი კურსების შემთხვევაშია შეთავაზებული. ამჟამად წარმოდგენილი სილაბუსის თემატიკა და შესაბამისი ლიტერატურა ნაკლებად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სტანდარტებთან და სხვა კურსის თემატიკაში გადადის.
დ) რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, რომელიც ამ სტანდარტიზებული მოდელის მიღმა კონკრეტულ სპეციფიკურობასა და დეტალიზაციას ითვალისწინებს, სასურველია, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სათანადოდ იყოს მიწოდებული.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით აკრედიტაცია, 7 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

2. მეორე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 7 აგვისტო, N120.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე.
1. გადაიხედოს და დაზუსტდეს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტრუქტურა; შესაბამისობაში მოვიდეს თვითშეფასების ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციასთან;
2. დაზუსტდეს არაძირითადი მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი, საუნივერსიტეტო არჩევითი კომპონენტი და შესაბამისი სტატუსით აისახოს პროგრამის სტრუქტურის აღწერაში; კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ტექსტსა (სწავლების ორგანიზების თავისებურებები) და თვითშეფასებაში;
3. გადაიხედოს და დაზუსტდეს „პოლიტიკური თეორიების“, „საქმიანი კომუნიკაციის“, „საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შინაარსი;
4. შეიცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში“, სათაური და დაერქვას „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში“; საჭიროა ქეისების გადახედვა.
5. აუცილებელია ჩატარდეს სამუშაო საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორების მოსაზიდად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომაგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ირაკლი ჯავახიშვილმა განმარტა, რომ ეთანხმებიან მესამე და მეოთხე რეკომენდაციებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, წამყვან ლექტორებთან გაიმართება კონსულტაციები. რაც შეეხება “ქეისებს” სილაბუსი არის ცოცხალი ორაგანიზმი და “ქეისების” თვალსაზრისით მუდმივ დახვეწას განიცდის.
მან განმარტა, რომ არ ეთანხმებიან პირველ რეკომენდაციას. პროგრამის სტრუქტურა გადაიხედა და განახლდა, ტექნიური უზუსტობაა და აღნიშული შესაძლებელია გაფორმდეს რჩევის კუთხით. მიეწოდა ცენტრს პროგრამა, სტრუქტურა სადაც არაა უზუსტობები.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცოტა ბუნდოვანია და არ ჩანს კონკრეტულად რა იგულისხმება, ხოლო რაც შეეხება საუნივერსიტეტო არჩევით კომპონენტს ეს წარმოადგენს უნივერსტეტის საერთო პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით პროგრამა და უნივერსიტეტი სარგებლობს სრული დისკრეციით, რადგანაც ეს ძირითადი კვალიფიკაციის მიღმაა და თავისი შინაარსით ეს რეკომენდაციაც რჩევას განეკუთვნება, რადგან სრუდენტს

შეუძლია თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ნებისმიერი პროგრამიდან ნებისმიერი კურსი აირჩიოს.
მეხუთე რეკომენდაციას რაც შეეხება პროგრამაში ჩართულ დოქტორებს ხარისხი უდასტურდებათ მომიჯნავე დარგებში და ასევე აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო მიმართულებით. ასევე დოქტორანტებს რაც შეეხება, აქცენტს აკეთებს ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვასა და მათ ჩართვაზე და როცა ისინი მიიღებენ შესაბამის დოქტორის ხარისხს მიწვეულები იქნებიან, რაც ხელს შეუწყობს დოქტორების რაოდენობის ზრდას. პროგრამაში ჩართულ პერსონალს უდასტურდება და კითხვის ნიშნის ქვეშ არაა მათი კვალიფიკაცია. შესაბამისად ეს რეკომენდაცია შინაარსიდან გამომდინარე რჩევას განეკუთვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს განემარტათ მეორე რეკმენდაცია.

ივანნა მაჩიტიძემ მეორე კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ტექსტში ასე იყო აღნიშნული, რომ არასპეციალობის არჩევითი კურსები გააჩნია პროგრამას. ამ არჩევითი კურსების ჩამონათვალში უცხო ენის B2 დონეა ჩასმული. ესეთი კითხვა გაუჩნდათ უცხოენების კომპონენტი ხომ ცალკეა და რატომ არის საჭირო კიდევ ცალკე არასპეციალობის არჩევით კომპონენტად გამოტანა. ასევე სწავლების ორგანიზების თავისებურებებში ეს არ იყო აღნიშნული, როგორც პროგრამის შემადგენელი ნაწილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა თუ რატომაა არასპეციალობის არჩევით კურსებში. ყურადღება გამახვილებულია ინგლისურ ენაზე და ის ისწავლება B2 დონის ჩათვლით და შემდეგ უკვე სპეციალობის კონკრეტული პროგრამის მიხედვით, სპეციალური ინგლისური. სხვა ენებში როგორც წესი მთავრდება ძირითად კომპონენტში B1 დონით.
დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ B1 დონემდე სავალდებულოა მეორე უცხო ენაზე. ხოლო B1-ის მერე უკვე აღარაა სავალდებულო. შესაბამისად ხელოვნურად არ აბევრებენ საგნებს ამის ხარჯზე. პროგრამის მიხედვით აღნიშნული განმარტებულია, რომ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს და შესაბამისად დაკონკრეტების აუცილებლობაც არ არსებობდა.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ საგნებთან დაკავშირებით იკითხა, საბჭოს წევრებისთვის გაზიარებულ დოკუმენტაციაში იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც მალევე გამოსწორდა და კითხვაც მოიხსნა.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რომ აღნიშნული დინამიური სფეროა და ლექტორებში რამდენადაა მზაობა, რომ უახლესი ინფორმაციის დამუშავება მოხდეს და კონტროლდება თუ არა აღნიშნული.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, პროგრამა არაა სტატიკური მოცემულობა, ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად უნდა იხვეწებოდეს, უნდა პასუხობდეს აქტუალურ პრობლემებს. ამაზე აქტიურად მუშაობენ პროფესორები, "ქეისებზე", ევროკავშირთან მიმართებით, Brexit-ი, ეს ცვილიებები ასახვას ჰპოვებს შესაბამის სილაბუსებში და ამ თვალსაზრისით განვითარება დახვეწას განიცდის.
დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ მაგალითად ირაკლიმ თარგმნა ჯოის კაუფმანის შესავალი საერთაშაორისო ურთიერთობებში, საავტორო უფლებებიც იყიდეს. თარგმნის შემდეგ თავდაპირველი წიგნის ახალი ვერსია გამოვიდა სადაც დამატებულია ჩინეთის და ამერიკის მაგალითი, Brexit-ი და 60 გვერდის ხელახლა თარგმნამ მოუწიათ, ისინი ხშირად აახლებენ ლიტერატურას. ამასთან, დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე ირაკლის სახელმძღვანელო გამოდის თავისი პრაქტიკული მაგალითებით, ამ სფეროში წიგნებსაც გამოსცემენ. დინამიური დარგია და ხშირად უწევთ განახლება.
გიორგი თურქიამ იკითხა საკითხის აქტუალურობა ლექტორის დონეზე წყდება თუ საბჭო არსებობს რამე.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ორი რამ არის პრაქტიკაში, პროგრამის ხელმძღვანელი და საგნის ლექტორი წყვეტენ სემესტრის დასაწყისში თვენახევრით ადრე ხომ არ სურთ ლიტერატურის, პროგრამის განახლება. შემდეგ კი ამან, ხარისხის კონტროლი, ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭო უნდა გაიაროს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:
ა) გადაიხედოს და დაზუსტდეს „პოლიტიკური თეორიების“, „საქმიანი კომუნიკაციის“, „საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შინაარსი;
ბ) შეიცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში“, სათაური და დაერქვას „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში“; საჭიროა ქეისების გადახედვა.

რჩევა:
ჩატარდეს სამუშაოები საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორების მოსაზიდად.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დატოვა სხდომა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 18 მარტი, №38
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქ. №77, კორპუსი N6.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე და განმარტა ისინი.

ა) დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი ტრენინგით პროგრამის სწავლის შედეგების და მათი მიღწევის, გაზომვის/შეფასების მექანიზმების შესახებ; - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გასაუბრების დროს გამოიკვეთა ამის აუცილებლობა. თუმცა დაწესებულებას პასუხად აქვს, რომ აქვთ ცენტრი და ისინი პერიოდიულობით აკეთებენ ამას, თუმცა გასაუბრების დროს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამის აუცილებლობა იყო. საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა რა მიმართულებით გულისხმობენ ტრენინგებს, სწავლის შედეგების, მათი გაზომვის, იმის შესახებ თუ როგორ ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები და როგორ გაიზომოს, რაზეც ექსნერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა.
ბ) განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით; - აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ ეკონომიკის პროგრამა საკმაოდ დეფიციტურია სულ რამოდენიმე უნივერტეტს აქვს და მისასალმებელია. თუმცა ეკონომიკა ცვალებადი მეცნიერებაა არ არის ფილოლოგია, რომ იდელოლოგია მოხსნან და იგივე დატოვონ რომლითაც ასწავლიდნენ 10 წლის წინ, რაც მუდმივ განახლებას გულისხმობს. აღნიშნული შეუძლებელია ლიტერატურის განახლების გარეშე. როგორც ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით იყოს ის, რომ სტუდენტების ნაწილი ინგლიურს აბარებს, ნაწილი რუსულს და აქედან გამომდინარე არათანაბარ მდგომარეობაში შეიძლება იყვნონ და ძირითადად ქართულეონოვანი ლიტერატურაა მითითებული.
გ) დოქტორანტებს უნდა შესთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები;- გულისხმობს ერთ-ერთი სილაბუსის ღია ეკონომიკას. ასეთი საგანი, რომელიც ისწავლება ბლანშარით, რაც კარგი წიგნია თუმცა ბლანშარი ცნებების დონეზეა და განმარტებების და მესამე სახეფურისთვის არ არის.
დ) დოქტორანტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფში;
ე) ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, აკადემიური პერსონალის სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნება და საერთაშორისო ბაზებში ასახვა; -ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გასაუბრების შედეგად დოქტორანტებთან გამოიკვეთა ეს პრობლემა. მიუხედავად იმის, რომ კარგი ელექტრონული ბიბლიოთეკა აქვს დაწესებულებას და აღნიშნა დადებითი მომენტი. თუმცა დოქტორანტებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ და მეტი ინფირმირება სჭირდებათ.
ვ) გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა;- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესთავაზეს ეს დაწესებულებას და ალბათ გაითვალისწინებენ.
ზ) პროგრამას დაემატოს ,,პროფესორის ასისტენტობა";- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კარგინ იქნება, რადგან მეცნიერი უნდა ჩამოყალიბდეს, რაც განუვითარებს იმ უნარებს, რომელიც ესაჭიროება მას შემდგომ მოღვაწეობაში.
თ) გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში და კონფერენციებში;- -ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მესამე საფეხური კვლევაა და დოქტორანტებს ამაში ჩართვა დაეხმარება კვლევითი ნაშრომის მომზადებაში.

ი) გაიზარდოს სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობა.- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, სტუდენტი რომ უფრო მეტ სიახლეს გაიგებს, საქმის კურსში იქნება თანამედროვე სიახლეებთან იმ კვლევითი მიმართულებით, რომლითაც კვლევას აწარმოებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეკომენდაციებზე რიგითობის მიხედვით.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მათ განმარტეს, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პრიოფესიული განვითარების ცენტრი და სისტემატურად ატარებს ტრენინგებს. თანამშრომლობენ მოწინავე გამოცდების ცენტრთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნულ ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება ტრენინგები სწავლების შედეგები შეფასების, სწავლების სტრატეგიებში, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებში. სადოქტორო პროგრამის განმახორიცელებლემა გაიარეს აღნიშნული ტრენინგები, რაც დასტურდება წარმოდგენილი სერთიფიკატებით. გაორეს რაც დსასრუტდება შესაბამაისი სერტიფიკატებით.
მე-2 რეკომენდაციას რაც შეეხება, მუდმივად განახლების პროცესშია პროგრამა, რაც ძირითადად ლიტერატურით გამდიდრებას გულისხმობს.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები ითვალისწინებს სწავლებისა და კვლევთი აქტუალური საკითხების სწავლებას, ეს კურსები შინაარსობრივი გათვალისწინებით უზრუნველყოფს კვლევის თანამედროვე საფუძვლების ანალიტიკური უნარების განვითარებას. ბლანშარზე თვლიან, რომ შეესაბამება დამხმარე ლიტერატურაში მითითების პირობებში.
ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძრავნელი ტარტუს უნივერტეტში, აგრეთვე გერმანიის უნივერტეტში მუშაობის გამოცდილების მქონეა. ასევე, საკონსულტაციო საგამომცემლო კომპანიის საბჭოს თავმჯდომარე და ეკონომიკის პოლიტიკის მთავარი რედაქტორი. დოქტორანტებს აქვთ საშუალება ერასმუსის გაცვლითი პროგრამით განახორციელონ მობილობა. ხორციელდება მკვლევრად მიწვევა სხვადასხვა უნივერტეტებში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სტუდენტებიც და ლექტორებიც მონაწილეობენ ტრენინგებში, კონფერენციებში და ამას სისტემატური ხასიათი აქვს. ხარკოვის უნივერსიტეტთან აქვთ მოალაპარაკებები, ერთობლივი კვლევები. აკადემიური პერსონალი აქვეყნებს სტატიებს საერთაშორისო ჟურნალებში, კონფერენციებში მოხსენებების რაოდენობაც ძალიან დიდია.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საბჭოს წევრებს თუ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა დაუსვა დაწესებულებას რამდენიმე კითხვა.
დასკვნაში წერია, რომ ეკონომიკური კვლევის კრეტიდები გაიზარდოას 10-მდე ეს გულისხმობს იმას, რომ მოცულობა უნდა გაიზარდოს საგნის თუ 5 კრედიტში ეს არ თავსდება?
ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ აქ იგულისხმება საგნის მოცულობის გაზრდა.
პაატა ბრეკაშვილმა ასევე იკითხა, რომ ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში თემატური სემინარი 1 და 2 ის სილაბუსები თუ შეხვდათ და თუ არ შეხვდათ თუ იკითხეს.
ექსპერტებმა განმარტეს, რომ არ შეხვედრიათ თემატური სილაბუსი, როგორც უთხრეს დებულების მიხედვით არის გაწერილი, ცალკე სილაბუსი კი არ არის.
პაატა ბრეკაშვილმა ასევე იკითხა, როცა რეკომენდაციაა არჩევითი საგნების დამატებაზე ეს გულისხმობს, რომ საკმაო რაოდენობის საგნები არ არის და რაიმე თემის დამატებაა საჭირო თუ უბრალოდ, რომ დიდი რაოდენობა იყოს საგნების. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პედაგოგიკის მიმართულებით რომელიმე საგანი, რომ დაამატონ ცუდი არ იქნება.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მისი აზრით ამ მიმართულებით საკმარისად არის ძირითად საგნებში.

ასევე მან იკითხა, რომ დასკვნის მიხედვით დოქტორანტები ძირითადად არ მუშაობენ სპეციალობის მიხედვით, რამდენად ასეა, რამდენად დიდია პროცენტულობა და დისერტაციები თუ შეამოწმეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეამოწმეს დისერტაციები მათ შორის პლაგიატზეც, ამაზე დამაზუსტებლად იკითხა პაატა ბრეკაშვილმა თუ ქართულად იწერება დისერტაციები, როგორ ხდება პლაგიატზე შემოწმება. ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ შეამოწმეს თვითონ დანერგილია თუ არა ანტიპლაგიატის სისტემა.

რაც შეეხება სპეციალობით მუშაობას ექსპეტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ ცოტა მუშაობს აკადემიური მიმართულებით და ცოტა კითხულობს ლექციებს.

დაწესებულებამ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სულ 24 კურსდამთავრებული ჰყავს, აქედან დიდი ნაწილი მათთან დარჩა და მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ინტერვიუს პროცესში რადგან დაწესებულების წარმომადგენლები არიან. დანარჩენიდან 4 თავისი პროფესიით არის დასაქმებული, დაახლოებით 70 პროცენტი კურსდამთავრებულებიდან მუშაობს თავისი პროფესიით.

პაატა ბრეკაშვილმა ასევე შეფასებითი კომენტარი გააკეთა, რომ არ ჩანს, რომ ქვეყნდება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიები და დაწესებულების მხრიდან დასახელებული გამომცებლობები ვერ ხვდება იმ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ზოგადად ცნობილია ამ დარგში.

ასევე პაატა ბრეკაშვილმა იკითხა თანახელმძღვანელთან მიმართებით, ტარტუს უნივერსტეტის პროფესორი რა დოზით არის ჩართული პროგრამის შედგენასა და განხორციელებაში.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უცხოელი პროფესორის მონაწილეობა პროგრამაში არ წარმოადგენს ფორმალურ საკითხს და ის აქტიურადაა ჩართული. ასევე ის ლექციებსაც კითხულობს, არის დოქტორანტების თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელობასთან დაკავშირებით პაატა ბრეკაშვილს გაუჩნდა კითხვა როგორ ხდება ქართულენოვანი დისერტაციებთან მიმართებით უცხოენოვანი თანახელმძღვანელის არსებობა. რაზეც დაწესებულებამ განმარტა, რომ მართალია ქართულენოვანია, მაგრამ უცხოენოვან ლიტერატურასაც იყენებენ და გამოქვეყნებული სტატიები შეიძლება იყოს ასევე ინგლისურ ენაზე.

პაატა ბრეკაშვილმა ასევე განმარტა, რომ პროგრამაში სახელმძღვანელოების მითითება მესამე საფუხურზე და კვლევის მეთოდების ნაკლებობა საკმაოდ თვალშისაცემია. არ ჩანს, როგორ ხდება კვლევის მეთოდების შესწავლა, როგორ შეუძლიათ სტუდენტებს ჩაატარონ პრაქტიკული კვლევა. ასევე მიუთითა, რომ ის ორი საგანი რაც პროგრამაშია მითითებული დოქტორანტისთვის შეიძლება საერთოდაც არ იყოს შეთავაზებული, ასევე საჭიროებას ვერ ხედავს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების შესწავლის ეკონომიკის დოქტორისთვის. შესაბამისად ბევრ ისეთ საგანს სწავლობენ რაც დოქტორანტისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს. დაწესებულებამ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მხოლოდ მკვლევარს არ ზრდიან, ასევე მომავალ ლექტორსაც, რომელსაც აღნიშნული სტანდარტების ცოდნა დასჭირდება. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ მათი პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მკვლევრის გაზრდაა ძირითადი მიზანი.

პაატა ბრეკაშვილმა კვლავ გაუსვა ხაზი, რომ პროგრამაში ყველაფერი სახელმძღვანელოებზე და წიგნებამდეა დასული და ეს არ არის სადოქტორო დონე. სილაბუსებში ძირითადად კვლევითი ნაშრომები არაა. გამოდის, რომ პროგრამა კვლევაში არ ავითარებს სრუდენტს. ეკონომისტს კვლევის მეთოდებში არ ესწავლება მეთოდოლოგია და რა გამოდის როგორ ეკონომისტს ვზრდით. ზოგად დასკვნას უფრო შეფასებითი ხასიათი მიაეცა და თუ აქვთ პასუხი მოისმენს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სილაბუსების ნაწილი მოიცავს მეთოდების გამოყენებას ეკონომიკის ანალიზში, ინტერნეტის გამოყენებას ეკონომიკურ კვლევებში. აქვთ ასევე ლაბორატორია ეკონომიკური პროცესების მოდელირების, თხოვენ დოქტორანტებს გააკეთონ კვლევები ჩაატარონ და მოდელირება.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ის რასაც დაწესებულება ამბობს თავად პროგრამაში არ დასტურდება და არ ჩანს. ამასთან, საკმაოდ მოძველებული ლიტერატურა ფიქსირდება სილაბუსებში.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა ასევე შეფასებითი კომენტარი გააკეთა, რომ ექპერტთა დასკვა უცნაურადაა შედგენილი, ბევრი რეკომენდაციაა, სტანდარტები მეტწილ შესაბამისობაზეა და ბოლო სტანდარტი მე-5 სტანდარტი უცნაურად სრულად შესაბამისობაშია. მაშინ, როცა პირველი რეკომენდაცია არის ხარისხობრივი საკითხი და ამ მიმართულებით უნდა ასახულიყო. უცნაურია ეს რეკოენდაცია არის და ხარისხი დასკვნის მიზედვით სრულყოფილად მუშაობს.
პაატა ბრეკაშვილმა ასევე იკითხა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე. დაწესებულებამ განმარტა, რომ წინაპირობად არ აქვთ კვალიფიკაცია, მაგრამ შიდა გამოცდებით და გასაუბრებით პროფესიული ცოდნა ფასდება.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს რამდენი დოქტორანტი ირიცხებოდა პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით პროგრამაზე ირიცხება 89 დოქტორანტი, ანუ დაახლოებით 30-მდე თითო კურსზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, 1-ლი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, 2.3 და 2.6 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან”, შესაბამისად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან”. ხოლო, 3.2 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი ტრენინგით პროგრამის სწავლის შედეგების და მათი მიღწევის, გაზომვის/შეფასების მექანიზმების შესახებ;
ბ) განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით;
გ) სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან.
გ) დოქტორანტებისთვის უნდა იყოს შეთავაზებული მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები;
დ) უზრუნველყოფილი იყოს დოქტორანტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფში;
ე) ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, აკადემიური პერსონალის სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნება და საერთაშორისო ბაზებში ასახვა;

ვ) გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა;
ზ) პროგრამას დაემატოს ,,პროფესორის ასისტენტობა“;
თ) გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში და კონფერენციებში;
ი) გაიზარდოს სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობა.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 09 იანვრის N1
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩს N59
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება

- მიზანშეწონილია კურიკულუმის შედეგების რუკის შემუშავება;
- მიზანშეწონილია გატარდეს ღონისძიებები, რათა სტუდენტებმა სრულფასოვნად შეძლონ მათემატიკური საგნების ათვისება, რაც შესაძლებელია კურიკულუმის გარეთ აქტივობების ან პრეკალკულუსის დამატებით;
- განესაზღვროს წინაპირობები სასწავლო კურსებს: „საგადასახადო საქმე“, „რისკები და დაზღვევა“, „სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება“, “ფინანსური მათემატიკა“, „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები“, „ფინანსური ანგარიშგება“, „ბიზნესის სამართალი“, „ბიზნეს სტატისტიკა“;
- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით;
- განახლდეს სასწავლო მასალა საგნებში: „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები“;
- მოხდეს სილაბუსების გადამუშავება და ქართულენოვანი სასწავლო მასალების მიწოდება სასწავლო კურსებში „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, „მომხმარებელთა ქცევა“, „კრეატიული მარკეტინგი“, „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, „მათემატიკა ბიზნესისასთვის“;
- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კურსად წარმოდგენილი იყოს სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტა გაძლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემით (Access)
- მიზანშეწონილია გადამუშავდეს თოთოეული სასწავლო კურსის შედეგები, მისი დაკონკრეტების | და გაზომვადობის მიღწევის მიზნით;
- შეფასდეს სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის საჭიროება და მოხდეს კრედიტების განაწილების დაზუსტება პროგრამისათვის;
- მიზანშეწონილია პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი გატანილ იქნეს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების კომპონენტში;
- მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტიგენტის მოცულობა და ასევე სტუდენტის მიერ შესრულებული ვალდებულებები;
- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში ჩამოყალიბებული კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფრაზა: თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისსში სტუდენტს უფრომდება (F) - 0 ქულა“;
- მიზანშეწონილია მუდმივად მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება;
- უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობით განვითარებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 20 ივნისის N133
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი N76
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- პროგრამის მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საბაკალავრო კურსის შედეგებს შორის;
- შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის შინაარსი და გაცხადებული მიზნები, რამეთუ სავალდებულო და არჩევით საგანთა ერთობლიობა, რიგ შემთხვევაში, სცილდება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართლობა, რათა უფრო დაუახლოვდეს პროგრამის სწავლის შედეგები და შრომის ბაზრის მოთხოვნები ერთმანეთს;
- მკაფიოდ გაიწეროს ბიზნეს ადმინისტრირების დარგის კონცენტრაციების საგნები და მათი შესწავლის საგნობრივი რუკა (ფინანსები, მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, ტურიზმი) და ამის საფუძველზე დაკორექტირდეს სავალდებულო/არჩევითი საგნების პრიორიტეტები;
- განახლებას საჭიროებს ზოგიერთი სილაბუსი, რათა სასწავლო კურსი ასახავდეს დარგში შექმნილ თანამედროვე ცოდნას;

- უნდა გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების სილაბუსებში არსებული შეფასების კომპონენტები, ამასთან უნდა მოხდეს კომპონენტის მეტი დეტალიზაცია საგნების სპეციფიკის შესაბამისად;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომების შესრულების მაღალი აკადემიური ხარისხი;

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო



სხდომის მდივანი